ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 232

"10" ივნისი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №99-ში(საკადასტრო კოდი: №01.16.01.012.002.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულომდაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №99-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.01.012.002.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის №22.730.760 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №99-ში, მდებარე 35.22 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.01.012.002.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ეკატერინე ჩქოფოიასთვის (პ/ნ. 01005008976) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე